



ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!

შეგახსენებთ, რომ 1 ნოემბერს იწურება ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ვადა. ამ თარიღის შემდეგ წარდგენილი დეკლარაციები ითვლება დაგვიანებულად წარდგენილად. გაითვალისწინეთ, რომ დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის საბადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობა (სანქცია).

1.ვის ვვალვება ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენა?

დეკლარაციის წარდგენა ვვალვება ფიზიკურ პირს, მათ შორის მენარმე ფიზიკურ პირს*:

- ▶ თუ, საქართველოს ტერიტორიაზე დასაბეგრი ქონების მფლობელია და ამ პირის ოჯახის წინა წლის შემოსავლები აღემატება 40 000 ლარს.
- ▶ შემოსავლების ოდენობის მიუხედავად თუ, ფიზიკურ პირს საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრებაში აქვს სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელიც ქონების გადასახადის გადახდისაგან არ არის გათავისუფლებული.

დასაბეგრი ქონების ჩამონათვალი:

საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობა, შენობა-ნაგებობა ან მათ ნაწილი), იახტები (კატარღები), შვეულმფრენები, თვითმფრინავები და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის [8703](http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10483) კოდით (იხილეთ დანართი №1 - http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10483) განსაზღვრული მსუბუქი ავტომობილები (2017 წლის 1 იანვრიდან დაემატა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით განსაზღვრული მსუბუქი ავტომობილები (საქართველოს კანონი N97-ლს, 16 დეკემბერი 2016 წ.). ფიზიკური პირის ქონების გადასახადის 2018 წლის დეკლარაციაში შეიტანება დასაბეგრი ქონება 2017 წლის მიხედვით, შესაბამისად, მსუბუქი ავტომობილები იქნება განხილული 2018 წლის მიხედვით დაბეგრის ობიექტად).

ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში - მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელ მოწყობილობები, აგრეთვე ლიზინგით გაცემული ქონება.

არარეზიდენტისაგან ლიზინგით აქვს მიღებული ქონება.

მფლობელობაში ან/და სარგებლობაში აქვს გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებული ქონება.

საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

საკუთრებაში აქვს მიწა;

სარგებლობს ან/და ფლობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას;

სარგებლობს ან/და ფლობს გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს.

*თუ, თქვენ წინა საანგარიშო წლის მიხედვით წარდგენილი გაქვთ დეკლარაცია, ან დარიცხული გაქვთ გადასახადი საგადასახადო ორგანოს მიერ და არ იცვლება დეკლარირებული მონაცემები, უფლება გაქვთ არ წარადგინოთ დეკლარაცია. საგადასახადო ორგანო პროგრამულად დაგარიცხავთ ქონების გადასახადს წინა საანგარიშო წლის მონაცემების მიხედვით.

თუ, მიმდინარე წელს აღარ გაქვთ ქონების გადასახადის დეკლარირების ვალდებულება, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა დეკლარირების ელექტრონული გვერდიდან შეგიძლიათ წარადგინოთ განაცხადი დეკლარაციის არწარდგენის შესახებ, რათა არ განხორციელდეს გადასახადის პროგრამული დარიცხვა.

2. ვინ ითვლება თქვენი ოჯახის წევრად?

ოჯახის წევრად ითვლებით თქვენ, თქვენი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი; აგრეთვე, თქვენთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, და, ძმა, ბებია, პაპა, შვილიშვილი, რომლებთან ერთადაც ეწევით საერთო მეურნეობას.

3. ვინ უნდა წარადგინოს დეკლარაცია, როდესაც დასაბეგრი ქონება გააჩნია ოჯახის სხვა წევრებსაც?

თუ ოჯახის ორ ან ორზე მეტ წევრს გაქვთ დასაბეგრი ქონება, ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან წევრს შეუძლია წარადგინოს ქონების გადასახადის ერთიანი (საოჯახო) წლიური დეკლარაცია, რომელშიც აისახება ოჯახის ყველა წევრის დაბეგვრის ობიექტი.

4. რა სახის შემოსავალი უნდა შეიტანოთ ოჯახის მიერ მიღებულ შემოსავლებში

ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად, კერძოდ:

- ▶ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ამასთან, მცირე ბიზნესის სტატუსის ქონის შემთხვევაში - მცირე ბიზნესით დაბეგვრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავლის 25 პროცენტი;
- ▶ ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- ▶ დარიცხული ხელფასი.

შემოსავლებში არ შეიტანება:

- ▶ ოჯახის წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება;
- ▶ ფიზიკური პირის მიერ (მათ შორის, I რიგის მემკვიდრის მიერ ჯამურად თავისი და მამკვიდრებლის) 2 წელზე მეტი ვადით მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
- ▶ ფიქსირებული გადასახადის გამამხდელისა და მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;
- ▶ საქართველოს მოქალაქე არარეზიდენტ ფიზიკურ პირთან მიმართებით შემოსავლები განისაზღვრება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების მიხედვით.
- ▶ ამ კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ1“ და „ბ2“ ქვეპუნქტების შესაბამისად (იხილეთ დანართი №2 - http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10484) საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებული შემოსავალი.

მაგალითად: ფიზიკური პირმა გიორგიმ 2017 წელს ხელფასის სახით მიიღო 15 000 ლარი (დარიცხული), ხოლო დივიდენდის სახით - 5 000 ლარი. გიორგის ყავს გეუღლე, რომელსაც მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 96 000 ლარს.

გიორგის ოჯახის 2017 წლის შემოსავალი შეადგენს:
 $15\ 000 + 5\ 000 + 24\ 000 (96\ 000 * 25\%) = 42\ 000$ (ლარი), ამიტომ ვალდებულია წარადგინოს ქონების გადასახადის დეკლარაცია, არაუგვიანეს 2018 წლის 1 ნოემბრისა.

5. რა ვადაში უნდა წარადგინოთ და რომელი საგადასახადო წლის მონაცემები შეიტანება ქონების გადასახადის დეკლარაციაში?

დეკლარაცია უნდა წარუდგინოთ საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა.

დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება **ბასული საგადასახადო წლის მიხედვით**, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – **მიმდინარე საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით**.

დეკლარაციის წარდგენა ხდება ელექტრონულად შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდიდან www.rs.ge შემდეგი ლინკის მეშვეობით <https://eservices.rs.ge/Login.aspx> თუ, დაგავიწყდათ შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდის www.rs.ge მომხმარებლის პაროლი შეგიძლიათ ისარგებლოთ პაროლის აღდგენის სერვისით. დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საინფორმაციო სატელეფონო ცენტრს ნომერზე 2-299-299.

6. რა ვადაში უნდა გადაიხადოთ ქონების გადასახადი?

ქონებაზე და მიწაზე ქონების გადასახადი უნდა გადაიხადოთ არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

7. ვის მიერ და რომორ გაიანგარიშება ფიზიკური პირის ქონების გადასახადი?

ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო თქვენს მიერ წარდგენილ დეკლარაციაში ასახული მონაცემების საფუძველზე. დეკლარაციაში დასაბეგრი ქონება უნდა ასახოთ საბაზრო ღირებულებით, ხოლო დასაბეგრი მიწა - ფართობის მიხედვით (არასასოფლო - სამეურნეო - კვ.მ-ებში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ჰექტრებში).

ქონების ღირებულება შეგიძლიათ განსაზღვროთ თქვენი ქონების შესაძლო სარეალიზაციო ფასიდან გამომდინარე. ინფორმაცია ქონების საბაზრო ფასების შესახებ შეიძლება მოიძიოთ ასევე სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან, ან შეაფასებინოთ შესაბამის უფლებამოსილ პირს.

8. რა სახის საგადასახადო შეღავათი მოქმედებს?

საგადასახადო შეღავათები განსაზღვრულია სსკ-ის 206-ე მუხლით (იხილეთ დანართი №3 http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=10485). ამასთან, შეღავათების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ელექტრონულად დეკლარირებისას უჭრაში „შეღავათები“. დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საინფორმაციო სატელეფონო ცენტრს ნომერზე 2-299-299.